

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 151
(22. 09. 2009 წ.)

სტუ-ში 2009 წლის აგვისტოში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა, სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტებისა და სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებების ხელმძღვანელების თანამდებობებზე ახალი კანდიდატურების შერჩევა-დანიშვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის ყველა ფაკულტეტის შემადგენლობაში მყოფ ყველა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, როგორც მოვალეობის შემსრულებელს, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეს 2009 წლის 1-ელ ნოემბრამდე;
2. სტუ-ის ყველა ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის შემადგენლობაში მყოფ ყველა სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელს, როგორც მოვალეობის შემსრულებელს, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეს 2009 წლის 1-ელ ნოემბრამდე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ. სალუქვაძე)